საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

4 ივლისი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 124 (10 587) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ბუნტი სამბოს სამყაროში ჩვენი გამარჯვებით დასრულდა

მეამბოხეთა თავგადასავალი იტალიაში

ბათუმი. 1991 წლის 22 ივნისის დილა. კიდევ რამდენიმე საათი და ბუნტი სამბოს სამყაროში ან სამარცხვინო კრახით დამთავრდებოდა, ან მეამბოხენი გამარჯვებას იზეიმებდნენ. „ოქროს შუალედი" ვერც გამოინახა და არც იყო საჭირო. ხელიდან გაშვებული ერთადერთი შანსი კოზირად იქცეოდა ჩასაფრებული ძალებისათვის.

დელეგაციის ხელმძღვანელები კვლავ შევხვდით საუზმის შემდეგ ერთმანეთს. დრო გადიოდა, წუთები წლებად გვექცა, რადგან კარგა ხანს არავინ მოგვაკითხა სასტუმროში. წინა ღამე, ცხადია, არც ლაბრუსისთვის იქნებოდა მშვიდი და, რაკი ჯერჯერობით არავინ გვაკითხავდა, ვიფიქრეთ, რომ ყველაფერი ჩაიშალა. არა, ასეთ გადაწყვეტილებას ლაბრუსი თავად ვერ მიიღებდა, იგი მხოლოდ პაიკად იქცა ამ პოლიტიკურ, ხაზს ვუსვამ, პოლიტიკურ და არა სპორტულ თამაშში. თუ ღამით ვერ მოახერხა, ალბათ, დილით დარეკავდა ლაბრუსი საფრანგეთში თავის შეფებთან. პარიზიდან მოსკოვი შეიტყობდა მეამბოხეთა განწყობას და წამოვიდოდა ახალი ინსტრუქცია, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, გაჯიუტებული საქართველოს, რუსეთისა და ლიტვის წინააღმდეგ. რუსეთიც საქართველოს და ლიტვას მიემხრო — ეს ცნობა, რომელსაც მანამდე რუსეთის მხრიდან იქ, ზევით, არაფრად, დიდი-დიდი ქადილად მიიჩნევდნენ, ბომბივით აფეთქდებოდა ცენტრში ერთი ან რამდენიმე მაღალი ჩინის მოხელის კაბინეტში.

მეორე ვარიანტი: ლაბრუსი ხელოვნურად შეაფერხებს კონგრესის გახსნას, განზრახ მიუახლოებს მას ჩემპიონატის დაწყებას (ადგილობრივი დროით 17 საათი), გააჭიანურებს კონგრესის მსვლელობას, მერე კი დროის უქმარისობას მოიმიზეზებს და დელეგატები ისე დაშორდებიან ერთმანეთს, ფედერაციის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ. ეს ვარიანტი ლაბრუსმა მართლაც გაითამაშა კონგრესზე, მაგრამ არ გაუვიდა.

...საქართველოს დელეგაცია ყველაზე წარმომადგენლობითი იყო. უცხოეთში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, როცა „ამალაში" ქვეყნის სპორტული უწყების პასუხისმგებელი მუშაკები არიან. სპორტში უფლებებისათვის პოლიტიკური ბრძოლის რთულ პროცესში დელეგაციის სტატუსს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაღალი წარმომადგენლობა ხაზს უსვამს იმას, რომ დელეგაციის ზურგს უკან დგას მისივე ქვეყნის მთავრობა და ამ დელეგაციას სრული უფლება აქვს, თავისი სახელმწიფოს ინტერესები დაიცვას. კონკრეტულ მაგალითებზე ადრეც ვწერდით, როცა ზიმბაბვესა და პრაღაში საჭირო გახდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული და არა მარტო სპორტული ინტერესებისათვის ბრძოლა. ახლა ამას იმიტომაც აღვნიშნავთ, რომ იტალიაში ჩვენი დელეგაცია სტატუსის გამო, ყურადღების ცენტრში იყო და, როცა სასპარეზოდ ჩასული ქვეყნების ჩამოთვლას იწყებდნენ, პირველს მუდამ საქართველოს ასახელებდნენ. ასე ფიქსირდებოდა ოქმებშიც.

ზემოხსენებულ კონგრესს, წინასწარი შეთანხმებით, თითო ქვეყნიდან მხოლოდ თითო წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა, კონკრეტულად კი ის, ვინც სამბოს ეროვნულ ფედერაციასთან პირდაპირი საქმიანობით იყო დაკავშირებული. ჩვენი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სა-



დელეგაციები ხელს აწერენ კონგრესის მოწვევის შეთანხმებას.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 122, 123.

იხ. მე-2 გვ.

სასპარეზოდან... საოპერაციოდ

წყალტუბო, 3 ივლისი (ტელეფონით), საქართველოს მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე ერთდღიანი შესვენების შემდეგ დღეს მერვე ტურის პარტიები გათამაშდა. ექვსი წყვილის ნაცვლად დაფებს ოთხი დუეტი მიუჯდა. არ შედგა საპრიზო ადგილის ერთ-ერთი მაძიებლის — თეა ლანჩავასა და ქუთაისელ სოფიკო ნიკოლაძის პარტიები მათი ავადმყოფობის გამო, ამდღევანდელ მეტოქეებს — რუსთაველ ლალი აგაბაბიშვილსა და თბილისელ იამზე თვაურს მოგებები ჩაეწერათ. ლანჩავას ბრმანაწლავის მწვავე შეტევის გამო, საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა მოუხდა და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

სხვა ოთხ პარტიაში გორელმა ციალა ქასოშვილმა, დაამარცხა ქუთაისელი ნათია აფხაიძე, სამაგიეროდ, მეორე ქუთაისელმა ოლოლი ალხაზაშვილმა შეძლო მომგებიანი ქულის აღება. მისი ამდღევანდელი მეტოქე გახდა წყალტუბოელი ასმათ კვანტალიანი. სამტრედიელმა სოფიკო ტერელაძემ სძლია თბილისელ ლელა თანდაშვილს. იმის გამო, რომ გადაიდო გათამაშების ლიდერის — თბილისელ ინგა ხურცილავასა და ოჩამჩირელ ეკა კემულარიას პარტია (რომელშიც ეტლების დაბოლოებაში ხურცილავას, მართალია, პაიკი აქვს, მაგრამ მოსალოდნელია ყაიმი), 6,5 ქულით დაწინაურდა ქასოშვილი. ხვალ მე-9 ტურის პარტიები გათამაშდება.

პირველი საერთაშორისო მატჩი სტუმრად

საქართველო — მოლდოვა

გულახდილად ვაღიაროთ, — ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობის გზას რომ შეუდგა, ბევრს ეგონა, საფეხბურთო სამყარო ჩვენს ქართველობას პატივს სცემდა, თბილისის „დინამოს" ტრიუმფის პერიოდს გაიხსენებდა, ჩვენი ძველი მეგობარი — მეტოქე გუნდები, რომელთაც კარგად ესმოდათ ქართული ფეხბურთის ფენომენი, მხარში დაგვიდგებოდნენ და ერთორ წელიწადში ფიფა-უეფასთან მიმავალი გზა გაგვეხსნებოდა. ოცნებებით გაბრუებულებს, ის კი დაგვავიწყდა, რომ ცივილიზებულ სამყაროში ემოციებს არ ჰყვებიან და იქ კანონი, რაც არ უნდა კონსერვატორული იყოს, ზეობს. მოლდოვაში მივლინებით მიმავლებს, რედაქციიდან დაგვაბარეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენი ეროვნული ნაკრების პირველი დამოუკიდებელი გასვლაა, დიდი ზარ-ზეიმი არ არის საჭირო. ხვალ-ზეგ ევროპის დიდმა საფეხბურთო ქვეყნებმა რომ გამოიღონ ხელი და ურთიერთობა შემოგვთავაზონ, სათქმელი მოტივებული ხომ უნდა გვქონდესო. ცხადია, ესეც მართალია და შორსმჭვრეტელი ადამიანი ასეც უნდა ფიქრობდეს, მაგრამ ჩვენ ხომ ქართველები ვართ და ემოციებს აყოლა ისე გვეხერხება, როგორც არავის, მით უმეტეს, კიშინიოვში ჩასულებს ამის საბაბი ნამდვილად მოგვეცა.

ფეხბურთი სპორტის მეფეა და, როგორ იზოლაციასაც არ უნდა განვიცდიდეთ, მეფური პატივი მაინც უნდა მივაგოთ მას, მსოფლიოში, სადაც გინდა, ჩამოაგდეთ სიტყვა ჩვენი ფეხბურთის დღევანდელობაზე, გითანაგრძნობენ, გაგამხნევებენ, შეიძლება ჭკუაც დაგარიგონ და შემდეგ დაამატებენ: ბევრი გვსმენია თქვენში სპორტის ამ დიდებული სახეობის პოპულარობაზე, თქვენს საფეხბურთო ვარსკვლავებსაც კარგად ვიცნობდით, მაგრამ ფიფა-უეფას წყენას ვერიდებით და გვაპატიეთო.

დღეს, კიშინიოვში, ისევე როგორც „დიადი საბჭოთა კავშირის" ბევრ ადგილას, მძაფრი პოლიტიკური სიტუაციის გამო, შეიძლება ფეხბურთისთვის არც სცხელათ, მით უმეტეს, მივლინებაში ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე „ვრემიამ" „გვახარა" მოლდოვაში საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფები განლაგდნენო. ვშიშობდით, იქნებ, მატჩის ჩატარებაზეც გვითხრან უარი მასპინძლებმაო — მოლდოველებმა სიყვარულით მიგვიღეს.

მოლდოვას ფეხბურთელთა 5 გუნდი ჯერ კიდევ გამოდის საბჭოთა კავშირის პირველობაზე და, რა თქმა უნდა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან გამართული მატჩისათვის მოსკოვიდან დიდ მადლობას არ ელოდებიან. პირიქით, რადაც დაუჯდება, მეგობრისათვის ერთი ხელის გაწვდენა ამ თავისუფლების მოყვარული ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას, ჯერ კიდევ საკითხავია. მით უმეტეს, ჩვენი გუნდი ვარჯიშისას, სტადიონის ტრიბუნებზე „ფუტბოლ-ხოკეის" კორესპონდენტს, ჩვენს ძველ ნაცნობს მოვკარით თვალი, რომელიც, ჩვენდა გასაოცრად, არც მოგვესალმებია. განა ამას კითხვა უნდოდა — „ცენტრმა" თავისი აგენტი მოავლინა კიშინიოვში.

ჩვენი გაკვირვება იმან გამოიწვია, რომ მასპინძლები თავის ამ გულწრფელ „რევერანსს" (საქველმოქმედო მატჩი გვაქვს მხედველობაში, რომლის მთელი შემოსავალი საქართველოში სტიქიით დაზარალებულთა ფონდში გადაირიცხება) კი არ გვამადლიდნენ, პირიქით, მადლობას სწირავდნენ ქართული ფეხბურთის მესვეურთ შემოთავაზებულ წინადადებაზე დათანხმებისათვის. რა დასამალია, მოლდოვურ და ქართულ ფეხბურთს შორის ზღვარი დიდია, სპორტული ინტერესის თვალსაზრისით, იქნებ არც ჰქონდეს ამ მატჩს დიდი მნიშვნე-

იხ. მე-3 გვ.

ფედერაციები და ხელმძღვანელები

საქართველოს კეტბურთისა და სოფტბოლის დამოუკიდებელი ფედერაციის დამფუძნებელ ყრილობაზე ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს რამაზ გოგლიძე. ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია თამაზ ესართია, გენერალურ მდივნად — გელა ჩიხრაძე. ყრილობას ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის პირველი მოადგილე მურთაზ მნათობიშვილი.

◆

სლოვენიელმა სპორტსმენებმა დატოვეს

სლოვენიის სპორტსმენები, რომლებიც იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში შედიოდნენ ათენში მიმდინარე ხმელთაშუა ზღვის თამაშებზე, გამოვიდნენ ნაკრების შემადგენლობიდან. როგორც ათენიდან იუწყებიან, იუგოსლავიის დროშით ასპარეზობაზე უარი განაცხადა 26 სპორტსმენმა.

ნუ იგინებით, ბატონებო ანუ უიმბლდონმა ეკვატორი გადალახა

ყველაფრის ფულზე გადაყვანა, ცხადია, არ შეიძლება. მაგრამ ჩოგბურთელის ჰონორარი, როგორც წესი, გარკვეულ კავშირშია სპორტსმენის ოსტატობასთან. ამიტომ უიმბლდონის ტურნირის მონაწილეთა საინფორმაციო გრაფაში სიმაღლესთან, წონასთან, რეიტინგთან, სხვა სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად აღნიშნულია იმ ჰონორარის რაოდენობა, რაც აქამდე ჩოგბურთელს მიუღია.

ვაჟებში, მაგალითად, „ფავორიტთა" შორის ერთ-ერთი პირველი ჯონ მაკინროუ მოიხსენიება, რომელსაც ჩოგბურთმა 11 მილიონ 265 ათას 336 დოლარი მოუტანა. აქ მხედველობაში მიიღება მხოლოდ ჰონორარი, თორემ რეკლამისა და სხვა კომერციული არხებით დაგროვებული თანხის ოდენობა, ალბათ რამდენჯერმე უფრო მეტია. მაკინროუს შემოსავალი რომ მისი ოსტატობის ექვივალენტურია, ამას მტკიცება არც სჭირდება. ამერიკელი წლების მანძილზე მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი იყო, მან ფაქტობრივად, შვედი ბიორნ ბორგის საქმე გააგრძელა.

ამ ნიშნით მსოფლიოს ჩოგბურთის დღევანდელ ლიდერს სტეფან ედბერგს უფრო მოკრძალებული შედეგი აქვს — 8.633.696 დოლარი, მაგრამ ედბერგი ჯერ ახალგაზრდაა, ყველაფერი წინ აქვს და, ბუნებრივია, შეეცდება თავისი ფინანსური მდგომარეობა „გამოაკეთოს". ამაში მას გარკვეულ დახმარებას უიმბლდონის ტურნირიც გაუწევს.

უიმბლდონის პირველი კვირა, გახსოვთ ალბათ, წვიმიანი ამინდების გამო მეტად გაიწელა. ახლა კი, როცა სატურნირო ეკვატორი უკვე გავლილია, საქმე უფრო სწრაფად მიდის წინ, ფინიშისაკენ. მაგრამ, ამასთან, მატულობს დაჯარიმებულ ჩოგბურთელთა სიაც.

სრულიად ინგლისის „ლაუნ-ტენისისა და კროკეტის" კლუბმა, რომელიც უიმბლდონის ტურნირის ტრადიციულ ორგანიზატორად ითვლება, მიიღო გადაწყვეტილება, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს... ვულგარული გამოთქმების მოყვარულთ. უკვე დაისაჯა ჯარიმით რამდენიმე ჩოგბურთელი, მათ შორის ავსტრიელი ჰორსტ სკოფი, რომელმაც მეორე წრეში ფრანგ ჟან ფილიპ ფლერიანთან წაგების შემდეგ, ხმამაღლა შეიკურთხა. სკოფს ტურნირის სალაროში 500 დოლარის შეტანა მოუხდა.

ორჯერ მეტი თანხით დაჯარიმდა პერუელი პაბლო არაია, რომელმაც ავსტრალიელ ტოდ ვუდბრიჯთან თამაშის დროს ტრიბუნებს საკმაოდ მწვავე სიტყვებით მიმართა.

ახლა გაგაცნობთ ვაჟთა ტურნირის მეთექვსმეტედფინალისა და ქალთა მერვედფინალების ყველა შეხვედრის შედეგს:

ვაჟები. ს. ედბერგი — ქ. ვან რენსბერგი 6:1, 6:3, 6:2; ჯ. მაკინროუ — ჟ. ფ. ფლორიანი 6:2, 7:6, 6:1, ტ. შამპიონი — ნ. ბრაუნი 7:6, 1:6, 7:5, 6:3, დ. როსტანიო — ჯ. კონორსი 7:6, 6:1, 6:4, ჯ. კურიე — ა. ბეტჩი 6:2, 6:2, 6:0, ქ. ნოვაჩეკი — ი. ფრანა 6:4, 6:4, 5:7, 6:4, ა. ვოლკოვი — მ. ლაურენდი 6:1, 6:2, 6:1, მ. სტიხი — ო. კამპორეზე 7:6, 6:2, 6:7, 6:4, ა. აგასი — რ. კრაიჩეკი 7:6, 6:3, 7:6, ი. ელტინგი — პ. მაკინროუ 3:2, ი. ჰუნარსონი — ტ. ვუდბრიჯი 7:6, 4:6, 6:3, 6:4, დ. უიტონი — ი. ლენდლი 6:3, 3:6, 7:6, 6:3, გ. ფორჟე — ა. ლეკონტი (ლეკონტის ტრავმის გამო მოგება ჩაეთვალა ფორჟეს), ტ. მაიოტი — პ. კუნენი 3:6, 6:2, 7:6, 6:4. კ. ბერგსტრემი — ბ. ჟილბერტი 6:3, 6:2, 6:3, ბ. ბეკერი — ა. ოლხოვსკი 6:1, 6:4, 3:6, 6:3.

ქალები. შ. გრაფი — ე. ფრეიზერი 6:2, 6:1, ზ. ჰარისონი — ა. ჰუბერი — 4:6, 6:3, 6:0, ა. სანჩესი — ა. მინტერი 7:5, 3:6, 6:1, ჯ. ფერნანდესი — რ. შრივერი 6:0, 7:5, ჯ. კაპრიატი — ბ. შულცი 3:6, 6:1, 6:1, მ. ნავრატილოვა — კ. ლუნდკვისტი 6:1, 6:3, ლ. გილდემაისტერი — კ. მალეევა 3:6, 6:2, 6:3, გ. საბატინი — ნ. ტოზია 7:6,6:3.

მეამბოხეთა თავშესაფარი იტალიაში

(დასასრული)

ქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის და სამბოს ეროვნული ფედერაციის პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე საქართველოს ტელევიზიის წარმომადგენელი, კონგრესს უკლებლივ დაესწრნენ. ეს დიდი პატივი იყო. რაც მთავარია, თუმცა, ყველას გადამწყვეტი ხმის უფლება არ გვქონდა, შეგვეძლო საკუთარი აზრი გამოგვეთქვა, რასაც შეგნებულად მოვერიდეთ — შესაძლოა, შემდეგ ეს ფაქტი ვინმეს ბრალდებად წამოეყენებინა. სამაგიეროდ, თითოეულ ჩვენგანს ჰქონდა შესაძლებლობა, დამოუკიდებლად გაეანალიზებინა მწვავე სიტუაციები, და დასკვნა გამოეტანა. შემდეგ კი, პასუხი სხვის გამოსვლაზე, პოზიცია თუ პროტესტი ჯგუფური აზრის შეჯერებით უნდა მიგვეწოდებინა ჩვენივე დელეგატისთვის, რომელსაც კონგრესზე ოფიციალური გამოსვლის უფლება ჰქონდა. შევთანხმდით, არ გვეჩქარა, რადგან შესაძლოა ყველაფერი ჩვენს საბოლოო გადაწყვეტილებაზე ყოფილიყო დამოკიდებული. ამიტომ, ასე ვარჩიეთ, ნოდარ ექვთიმიშვილი, საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი და კონგრესზე ოფიციალური დელეგატი, სიტყვას მოითხოვდა მაშინ, როცა ეს აუცილებელი იქნებოდა კონგრესის მუშაობაში გარდატეხის შესატანად.

მოდით, ქართული სპორტის გულშემატკივარო, ძვირფასო მკითხველო, ერთად მივადევნოთ კონგრესის მუშაობას თვალი, ამის შესაძლებლობა კი გაგვაჩნია — ხელთა გვაქვს კონგრესის მსვლელობის სტენოგრაფიული ჩანაწერი (სხვათა შორის, ასეთი ჩანაწერი ჩვენს გარდა, ლიტვის ფედერაციის პრეზიდენტმაც გააკეთა).

კონგრესის წინა დღეებში დიდი კამათი გამოიწვია რეგლამენტის საკითხმა. ფრანგი ლაბრუსი ისე იქცეოდა, თითქოს უკვე პრეზიდენტი იყო და, ყველაფრიდან ჩანდა, მასვე სურდა, გასძღოლოდა კონგრესის მუშაობას. რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას? ვითარება, ცხადია, მეტად დაიძაბებოდა, გაჭიანურდებოდა დისკუსია, ლაბრუსი ნამდვილად არ არის ის კაცი, ვისაც შეუძლია, ობიექტური იყოს სპორტის სასიკეთოდ. საოცარია. საფრანგეთში, დემოკრატიულ ატმოსფეროში აღზრდილ კაცს, საიდან აქვს ასეთი დიქტატორული ქინი. მას შეუძლია არაფრად ჩააგდოს სხვისი აზრი, ცხადია, თუ გაუვიდა. ზოგჯერ ისეთ რამეს იტყოდა და ცდილობდა დაესაბუთებინა, პირდაპირ, თავს იბითურებდა.

ჩვენ, ამაში სხვებიც ავიყოლიეთ, კატეგორიული წინააღმდეგნი ვიყავით, რომ კონგრესის თავმჯდომარეობა ლაბრუსს გაეწია. ეს მას მარიო ლოის პირით შევუთვალეთ. თავად მარიოს კი, როგორც მასპინძელს, ვთხოვეთ, კონგრესი გაეხსნა და გასძღოლოდა კიდეც.

მეორე და მნიშვნელოვანი საკითხი: ლაბრუსი დაბეჯითებით მოითხოვდა, შექმნილიყო არა ევროპის, არამედ მსოფლიო ფედერაცია, რაც არამც და არამც არ იქნებოდა გამართლებული იურიდიულად. მაგრამ ლაბრუსის სიბრიყვე კონგრესამდე, როგორც იტყვიან, შეუვალი გახდა. ქვემოთ ყველაფერს დავინახავთ.

მაშ ასე, დავუსესხოთ სტენოგრაფიულ ჩანაწერს. კონგრესს ესწრებიან: საქართველოს, იტალიის, სანმარინოს, საფრანგეთის, შვეციის, რუსეთის, ლიტვის, ბულგარეთის, ალჟირის წარმომადგენლები. ბულგარეთისა და ალჟირის დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ მათ არ გააჩნიათ უფლებამოსილება კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც თავიანთი ქვეყნების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა.

კონგრესი გახსნა მარიო ლოიმ. სიტყვა ეძლევა საფრანგეთის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტს ეტიენ ლაბრუსს (კაცს, რომელმაც წამოიწყო ბუნტი სამბოს სამყაროში და შემდეგ სხვისი გავლენის ქვეშ მოექცა).



კონგრესის მსვლელობა ვიდეოფირზეა აღბეჭდილი. ერთადერთი ქვეყანა საქართველო იყო, რომელსაც ეს შესაძლებლობა მიეცა.

ლაბრუსი: — სამბოს მსოფლიო ფედერაციამ დისკრედიტაცია განიცადა, ევროპის ფედერაცია მხოლოდ ფორმალურად არსებობს. ჩვენ შევიკრიბეთ, რათა ვიხსნათ სამბო, გადავიყვანოთ იგი ახალ რელსებზე, ვიმუშაოთ, რათა სპორტის ეს სახეობა დამკვიდრდეს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. ამიტომ უნდა შევქმნათ უნარიანი და ავტორიტეტული მსოფლიო ფედერაცია. მე ამის უფლება მიღებული მაქვს საფრანგეთის სპორტის მინისტრისგან. ვესაუბრე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მრჩევლებს და მათ მოიწონეს წინადადება, ოღონდ არ უნდა დავუშვათ ფედერაციაში საქართველოს, ლიტვისა და რუსეთის გაწევრიანება, რადგან ეს პოლიტიკური საკითხია. საერთაშორისო ორგანიზაციები ცნობენ ერთიან საბჭოთა კავშირს და არა მის რესპუბლიკებს. მე მოგიწოდებთ, ეს ყველამ გაითვალისწინოს. საქართველოს, ლიტვისა და რუსეთის წარმომადგენლებმა კი უნდა იცოდნენ, რომ ისინი სტუმრებად არიან მოწვეული და მათ უნდა დაიცვან შესაბამისი ეთიკური ნორმები, არ გადააჭარბონ სტუმრის უფლებებს.

ვიცი, ოფიციალური დელეგატები იტყვიან, ჯერ ევროპის ფედერაცია შევქმნათ, შემდეგ მსოფლიოო. ვის გაუგონია უმამოდ შვილის გაჩენაო, — დასძინა ლაბრუსმა.

მიხაილ ტიხონოვი, რუსეთის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი: — დღეს იტალიაში ჩამოვიდა ყველა, ვინც გულწრფელად არის დაინტერესებული სამბოს ბედით. ვეთანხმები ლაბრუსს, საერთაშორისო ფედერაციებმა დისკრედიტაცია განიცადეს. მაგრამ ლაბრუსს ვერ დავეთანხმები იმაში, რომ მან სტუმრები გვიწოდა. დღეს ამ კონგრესზე არ არიან სტუმრები. აქ შეიკრიბნენ სხვადასხვა ქვეყნის სამბოს წარმომადგენლები, რათა ახალი ფედერაცია შექმნან. რუსეთმა, საქართველომ და ლიტვამ მეტი წვლილი შეიტანეს სამბოს განვითარებაში, ვიდრე საფრანგეთმა. ამის უარყოფის უფლება არა აქვს არავის, მით უმეტეს ერთ ქვეყანას, ამ შემთხვევაში საფრანგეთს. ჩვენ ჩამოვედით, რათა ხელი შევუწყოთ სამბოს ახალ აღორძინებას მსოფლიოში.

შემოვდივართ წინადადებით, რომ შევქმნათ ევროპის სამბოს საერთაშორისო ფედერაცია. ამავე დროს, კონგრესმა ახლავე ოფიციალურად დაადასტუროს, რომ ერთი ქვეყანა — ერთი ხმა. მსოფლიო ფედერაციას ვერ შევქმნით. არა გვაქვს ამის უფლება ერთი უბრალო მიზეზის გამო: აქ მხოლოდ ევროპის წარმომადგენლები ვართ შეკრებილნი. დაბოლოს, კატეგორიულად მოვითხოვ უყარეთ კენჭი ჩემს წინადადებას, რომ საქართველო, რუსეთი და ლიტვა აღიარებულ იქნენ კონგრესის მონაწილე სრულუფლებიან წარმომადგენლებად და, აქედანვე მოვხსნათ გაუგებრობა ევროპის საერთაშორისო ფედერაციაში ჩვენი გაწევრიანების გზაზე.

შემდეგ სიტყვა აიღო შვეციის წარმომადგენელმა ნიკოლა მალქუისტმა.

თენგიზ ბაჩიჩილაძე,

ტურინი-თბილისი.

(გაგრძელება იქნება).



მხიარული დელფინი — ხმელთაშუა ზღვის თამაშების ემბლემა

სპორტული ემბლემების კოლექციონერებს შეუძლიათ გაიხარონ: გაჩნდა კიდევ ერთი ემბლემა — თილისმა. იგი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების XI სპორტული თამაშებისადმია მიძღვნილი. ნეპტუნის სამწვერა ფიწალი და ოლიმპიურის მსგავსად, სამი, ერთმანეთთან შეკავშირებული რგოლები ამშვენებენ მხიარულ დელფინს, რომლის რეპროდუქციას აქვე გთავაზობთ.

როგორც ცნობილია, XI სპორტული თამაშები ტარდება ოლიმპიადების სამშობლოში — საბერძნეთში, კერძოდ მის დედაქალაქ ათენში (28 ივნისი — 12 ივლისი). თამაშების პროგრამაში შედის მძლეოსნობა, ცურვა, წყალბურთი, ფეხბურთი, ჭიდაობა, ნიჩბოსნობა, გოლფი და სხვა. ამ საერთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეობენ მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე მდებარე ქვეყნები — ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, იუგოსლავია, ალბანეთი, თურქეთი, ისრაელი, ეგვიპტე, მაროკო, ტუნისი, ლიბია, საბერძნეთი, აგრეთვე, ეგრეთ წოდებული, „საკუნძულო სახელმწიფოები“ — კვიპროსი და მალტა.

გარდა ზემოთ მოტანილი ემბლემა-თილისმისა, თამაშების ორგანიზატორებმა გამოუშვეს სამახსოვრო ოქროსა და ვერცხლის მედლები.

„ჩაუქი“ ახლოს მიდის დიდი დიღმის მცხოვრებლებთან

სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი „ჩაუქი“ ოფიციალურად მუშაობას 16 ივნისიდან შეუდგა. კლუბის მიზანია, ახლოს მივიდეს მოსახლეობასთან, უშუალოდ საცხოვრებელ ადგილებში აზიაროს ადამიანები ფიზიკური კულტურისა და სპორტის სიკეთეს.

დაიგეგმა პირველი ღონისძიება — დიდი დიღმის პირველობა ფეხბურთში კორპუსებს შორის. „ჩაუქს“ მხარში ამოუდგნენ 187-ე საშუალო სკოლის დირექტორი გ. ზენაიშვილი და ფიზაღზრდის მასწავლებელი ჯ. ნოდია.

გამოცოცხლდა დასახლება. პირველობამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, ყოველ საღამოს იმართებოდა მატჩები 187-ე სკოლის საფეხბურთო მოედანზე, რომელიც პირველობასთან დაკავშირებით კეთილმოეწყო.

შეჯიბრება დასრულდა მეორე მიკრორაიონის I კორპუსის ნაკრები გუნდის გამარჯვებით. ეს ახალგაზრდული კორპუსი გახლავთ და, ბუნებრივია, აქ ბევრი სპორტის მოყვარული ცხოვრობს. პირველკორპუსელთა გუნდმა გადამწყვეტ მატჩში აჯობა ამავე მიკრორაიონის X კორპუსის გუნდს. მესამე ადგილზე კი მათი მეზობლები — VIII კორპუსის წარმომადგენლები გავიდნენ.

საბურთალოს რაიონის სპორტკომიტეტის წინადადებით, პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდებისთვის ჩატარდა დამატებითი მატჩი და გათამაშდა საგანგებო პრიზი. X კორპუსის გუნდს, რომელიც ძირითადად სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებით არის დაკომპლექტებული, რევანშის შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ...

ორივე გუნდი პერსონალურად მიიწვიეს საბურთალოს რაიონის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად. ეს შეჯიბრება შემოდგომაზე გაიმართება.

„ჩაუქი“ კი ახლო მომავალში დიდ დიღომში მცხოვრებ ველოსპორტის მოყვარულებსა და მოჭადრაკეებს მოუხმობს სარბიელზე.

„ლელოს“ კორ.

ინფორმაცია

● **ფრენბურთი. გაიმართა მსოფლიო ლიგის გათამაშების მორიგი მატჩები: ჰოლანდია — კანადა 3:1 და 3:0, საფრანგეთი — კუბა 1:3 და 1:3, სამხრეთ კორეა — იაპონია 3:0 და 3:1. „ა“ ჯგუფში გათამაშებას ლიდერობს კუბის ფრენბურთელთა გუნდი, რომელმაც ყველა, თორმეტივე შეხვედრა მოიგო. „ბ“ ჯგუფში დაწინაურებულია იტალია (10 გამარჯვება, 2 მარცხი).**

● **კალათბურთი.** სეზონის შედეგების მიხედვით საბჭოთა კავშირის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს რიგის ვეფ-ის მცველი გუნდარს ვეტრა. სპეციალურ კონკურსში მან მიიღო 40 პირველი, 20 მეორე და 16 მესამე ადგილი, სულ — 176 ქულა.

● **ალბერვილის თამაშების ერთ-ერთი ორგანიზატორი, წარსულში ცნობილი სპორტსმენი ჟან კლოდ კილი კატეგორიულად აცხადებს, რომ ეს ოლიმპიადა ყველაზე სრულყოფილი იქნება, როგორც ტექნიკური აღჭურვილობით, ისე სპორტული მაჩვენებლებით და სანახაობრივი თვალსაზრისით.**

● **როგორც** იუგოსლაველი მიმომხილველები აღნიშნავენ, ახლო წარსულში გამოჩენილი ფეხბურთელი იოსიპ სკობლარი (ახლა 50 წლისაა) ძალიან კარგი მწვრთნელი გამოდგა. ამ მხრივ მან სათანადო სკოლა გაიარა გერმანიაში, სადაც ერთხანს „ჰამბურგერ შპორტფერაინსაც“ კი ედგა სათავეში. ახლა სკობლარი იუგოსლავიის არაერთგზის ჩემპიონსა და თასის მფლობელს, სპლიტის „ჰაიდუკს“ ხელმძღვანელობს.

მშვიდობით, ოცნებავ?

რა სწრაფად გარბის დრო! 1978 წელს ივან ლენდლმა გაიმარჯვა უიმბლდონის იუნიორთა ტურნირში. ახლა იგი 31 წლისაა, მაგრამ დღემდე ვერ აისრულა დიდი ხნის საწადელი — მოეგო უიმბლდონის ტურნირი პროფესიონალთა შორის. წლეულს ლენდლი მეთორმეტედ ცდიდა ძალებს. მაგრამ ამჯერადაც უმტყუნა ბედმა! რას იზამ, ბალახისსაფრიანი კორტები არ გახლავთ ლენდლის სტიქია. სულ სხვაა მიწის კორტები, სადაც იგი დამაჯერებლად გრძნობს თავს — 1984 წელს „როლან გაროსიში“ გამარჯვებიდან მოყოლებული „დიდი მუზარადის“ ტურნირებში რვაჯერ გაიმარჯვა: 3-3-ჯერ საფრანგეთისა და ამერიკის ღია ჩემპიონატებში, ორჯერ ავსტრალიის ღია პირველობაში.

ერთხელ ლენდლმა განაცხადა, რომ უიმბლდონში ერთი გამარჯვების სანაცვლოდ, დათმობდა ყველა სხვა წარმატებას. დიახ, ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე მეტოქე, რომელიც ილუზიად აქცევდა ამ ჩეხოსლოვაკიელ-ამერიკელი „ვარსკვლავის“ ოცნებას. გავიხსენოთ ის ჩოგბურთელები, რომლებთანაც ინგლისის კორტებზე დამარცხდა ლენდლი:

1979 წელი. I წრე. მაკნამარასთან 3:6, 2:6, 3:6

1980 წელი. III წრე. დაიბლთან 6:4, 3:6, 4:6, 6:7

1981 წელი. I წრე. ფანკატთან 6:4, 3:6, 4:6, 6:1, 3:6.

1983 წელი. ნახევარფინალი. მაკინროუსთან 6:7, 4:6, 4:6

1984 წელი. ნახევარფინალი. კონორსთან 7:6, 3:6, 5:7, 1:6

1985 წელი. IV წრე. ლეკონტთან 6:3, 4:6, 3:6, 1:6

1986 წელი. ფინალი. ბეკერთან 4:6, 3:6, 5:7

ივან ლენდლი

1987 წელი. ფინალი. კეშთან 6:7, 2:6, 5:7

1988 წელი. ნახევარფინალი. ბეკერთან 4:6, 3:6, 7:6, 4:6

1989 წელი. ნახევარფინალი. ბეკერთან 5:7, 7:6, 6:2, 4:6, 3:6.

1990 წელი. ნახევარფინალი. ედბერგთან 1:6, 6:7, 3:6

1991 წელი. III წრე. უიტონთან 3:6, 6:3, 6:7, 3:6

წლევანდელი გათამაშების წინ, ჟურნალისტებმა ჰკითხეს ლენდლს, დაანებებთ თავს ჩოგბურთს, უიმბლდონში თუ გაიმარჯვეთო? ლენდლს კონკრეტულად არაფერი უთქვამს, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში მისი სპორტული კარიერის დასრულება არ იყო გამორიცხული. ამ თვალსაზრისით, ლენდლის წლევანდელი მარცხი სასიკეთოც კია — თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატი არ მიატოვებს სარბიელს. გაისად უიმბლდონზე ივან ლენდლი უკვე 32 წლის იქნება. მაშ, მშვიდობით ოცნებავ? თუმცა, მთავარი მხოლოდ უიმბლდონში წარმატებით გამოსვლა როდი გახლავთ — „დიდი მუზარადის“ ტურნირებში ლენდლმა უკანსაკნელად შარშან, იანვარში, გაიმარჯვა ავსტრალიის ღია პირველობაზე წელიწად-ნახევარი გამარჯვებების გარეშე, მისთვის მართლაც დიდი დროა. ლენდლის მტკიცე ხასიათის ამბავი რომ ვიცით, ეჭვი არ გვეპარება — იგი კიდევ მრავალჯერ შეგვახსენებს თავს.

ზურაბ ტაბატაძე

პირველი საერთაშორისო მატჩი სტუმრად

საქართველო—მოლდოვა

(დასასრული)

ლობა, მაგრამ ფაქტი მაინც უნდა დავაფიქსიროთ — 2 ივლისი, საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი გასვლა საერთაშორისო ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად.

მოლდოველებს ასეთი შეხვედრების გამოცდილება უკვე აქვთ. მათი გუნდი ორჯერ გავიდა საზღვარგარეთ და მეზობელ რუმინეთის ნაკრებს ეთამაშა.

არაერთხელ თქმულა — ჩვენ დამოუკიდებლობის პირველ ნაბიჯებს ვდგამთ და თავისუფლებასაც ნელ-ნელა ვუსინჯავთ გემოს. რა თქმა უნდა, ეს სპორტულ ჟურნალისტებზეც ითქმის. წლების მანძილზე, საერთაშორისო ტურნირებზე ველოდებოდით „ცენტრის“ მიერ თითო-ოროლა აკრედიტებულ ადგილს. 1981 წლის 13 მაისის მატჩის ფოტოები კი მოყვარულმა ფოტორეპორტიორმა შემოგვთავაზა. არც ერთი ქართველი ჟურნალისტი დიუსელდორფში საგანგებოდ არ მიუვლენიათ. ჩვენთვის ნამდვილად პატივი იყო მოლდოვაში მივლინება. ჟურნალისტებისთვისაც ეს პირველი გასვლაა ასე ერთად და დამოუკიდებლად, ამიტომ, გაგაცნობთ მათ, ვინც შეეცდება, ობიექტურად ასახოს სიტუაცია და მომავალს მართალი სიტყვა დაუტოვოს: მერაბ რატიშვილი („დრონი“), გია ტუხაშვილი („ახალგაზრდა ივერიელი“) ილია ბაბუნაშვილი („სარბიელი“), ზურაბ მეძველია, ალეკო ჯიბლაძე („ქართული ფეხბურთი“), ანზორ კოპლამაზაშვილი — ფოტოკორესპონდენტი, დავით ასათიანი და ჯამლეთ ხუხაშვილი (ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტი).

ახლა კი უშუალოდ მატჩის შესახებ. არ გვეგულება ფეხბურთელი, რომელსაც ეროვნული ნაკრების მაისურით თამაში ოცნებად არ ჰქონდეს გადაქცეული. ისმენდე შენი სამშობლოს ჰიმნს და უყურებდე შენი ქვეყნის დროშას, ცოტას არ ნიშნავს. ზედმეტია ლაპარაკი იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც ამ დროს უჩნდებათ სპორტსმენებს. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ჩვენს ფეხბურთელებს შეკრების პირველი დღიდან ძალა და ენერგია არ დაუშურებიათ პირველი გასვლითი მატჩისთვის მოლდოვას ნაკრებთან. ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი ანატოლი ნორაკიძე დაუფარავად აღიარებდა, რომ ყველა მოთამაშე შესაშური პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას.

მატჩს კიშინიოვში ბევრ რამეზე უნდა გაეცა პასუხი: პირველ რიგში, თუ რა პოტენცია აქვს ჩვენს ნაკრებს და როგორ შეძლებს მის გამომჟღავნებას გასვლით მატჩში. როგორ გამოიყურება ჩვენი ფეხბურთი იზოლირებულ მდგომარეობაში. მართალია, ერთ მატჩში ყველაფრის დანახვა შეუძლებელია, მაგრამ იმის თქმა ახლავე შეიძლება, რომ საქართველოს ნაკრებმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა. ამის თქმის უფლებას კი სტადიონზე მოსული მრავალრიცხოვანი მაყურებლის ოვაციები და მოლდოველი ფეხბურთელების დაბნეული სახეების გახსენება გვაძლევს. მატჩის ორგანიზატორებმა ფეხბურთისათვის ორიგინალური ფორმის მოძებნა შეძლეს. შეხვედრის დაწყების წინ, ისინი სათითაოდ იძახებდნენ ჩვენს ფეხბურთელებს და ამერიკელი პროფესიონალი კალათბურთელების მსგავსად, გულშემატკივრებს აცნობდნენ მათ მოკლე ბიოგრაფიას.

კიშინიოველი მაყურებელი კარგად იცნობს ქართულ ფეხბურთს, თითოეული ჩვენი ფეხბურთელის გვარის ხსენებაზე ენერგიულად რეაგირებდნენ. მოკლედ, ყველაფერი გაკეთდა ისე, როგორც ნამდვილ სპორტულ ზეიმს შეჰფერის. გაგვახარა იმანაც, რომ ყველა გვეკითხებოდა, თუ სად იყვნენ მათი კერპები, — ყიფიანი, გუცაევი, ჩივაძე, შენგელია, სულაქველიძე... რას საქმიანობდნენ. როდესაც ვუპასუხეთ, რომ ისინი კვლავ „მრგვალ ბურთს“ ემსახურებიან, კმაყოფილები გვეუბნებოდნენ — თქვენს ფეხბურთს კარგა ხანი არაფერი გაუჭირდებაო... მოლდოველ გულშემატკივრებს ეს აზრი 2 ივნისს გამართულმა მატჩმაც განუმტკიცა. მატჩი ახალი დაწყებული იყო, როცა ადგილობრივმა ინფორმატორმა ითხოვა, — წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ საქართველოში მიწისძვრით დაღუპულთა ხსოვნისათვის. შეხვედრის ორივე ტაიმი ქართველი ფეხბურთელების კარნახით მიმდინარეობდა.

მატჩი საქართველოს ნაკრების შეტევებით დაიწყო. უკვე მე-2 წუთზე ყიზილაშვილმა დაკარგა კარის აღების შესაძლებლობა. მე-5 წუთზე კი ქეცბაიამ ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. მასპინძლებმაც რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს, მაგრამ შეუმცდარად თამაშობდა ნიკა ჩხეიძე, რომელიც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მეორე ბურთი მე-13 წუთზე გავიდა — დარასელიამ კარგად ისარგებლა მეტოქის მცველთა უყურადღებობით და ორამდე გაზარდა ანგარიში.

პირველი ტაიმის შუაწელში ორივე გუნდის მოთამაშეებს დაღლა დაეტყოთ, მაგრამ მასპინძლებმა უფრო სწრაფად შეძლეს ძალების მობილიზება, და სპირიდონმა შეამცირა ანგარიში. პირველ ტაიმში, ორმხრივი იერიშების მიუხედავად, ანგარიში აღარ შეცვლილა.

50-ე წუთზე, ხარაის ახლო მანძილიდან დარტყმის შემდეგ, ანგარიში გათანაბრდა. ჩვენს ბიჭებს თავიდან მოუხდათ ყველაფრის დაწყება. მოედანზე შეცვლაზე გამოსულმა ყაველაშვილმა და მიხეილ ჯიშკარიანმა არაერთი თავსატეხი გაუჩინეს მასპინძელთა მცველებს და 79-ე წუთზე მიხეილ ჯიშკარიანმა დააწინაურა თანაგუნდელები, 88-ე წუთზე კი ყაველაშვილმა წერტილი დაუსვა ქართველი ფეხბურთელების წარმატებას. 4:2 — ასე გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა თავის პირველ გასვლით საერთაშორისო მატჩში.

აი, ვინ იცავდა ჩვენი ქვეყნის ღირსებას: ნიკა ჩხეიძე, დიმიტრი კუდინოვი, კახი ცხადაძე, მურთაზ შელია, გია ჯიშკარიანი, დავით ცომაია, თემურ ქეცბაია, გია კილასონია, მელორ ბიგვავა (მიხეილ ჯიშკარიანი), გიორგი დარასელია, დავით ყიზილაშვილი (მიხეილ ყაველაშვილი).

პრესკონფერენციაზე, რომელსაც მოლდოვას მთავრობის წარმომადგენლებიც დაესწრნენ, ითქვა, რომ მსგავსი ასპარეზობა სისტემატურად უნდა გაიმართოს და მასში მხოლოდ და მხოლოდ იმ რესპუბლიკებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, რომლებმაც უარი განაცხადეს ხელი მოეწერათ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე.

პრესკონფერენციაზე კითხვით მიმართეს ანატოლი ნორაკიძეს—იყო თუ არა ნაკრების შერჩევის ეს ვარიანტი ოპტიმალური? არა. — უპასუხა ა. ნორაკიძემ, — ადგილი ნაკრებში ჯერჯერობით არავის არ აქვს დაჯავშნული. გუნდი სახელდახელოდ შეიკრიბა. მიუხედავად გამარჯვებისა, მრავალი ხარვეზი გვაქვს და, იმედია, მალე გამოვასწორებთ.

მოლდოვას ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იონ კარიასმა აღნიშნა: „ნაკრებების სათამაშო დონე განსხვავდება ერთმანეთისაგან, ქართველი ფეხბურთელები წლების მანძილზე ტონის მიმცემნი იყვნენ მთელი კავშირისათვის. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, რომ იზოლაციის შემდეგ, მაინც შეძლებდით ასეთი ფორმის შენარჩუნებას, „ცენტრისაგან“ გამოყოფით არაფერი დაგიკარგავთ, რაც დღევანდელმა მატჩმაც დაადასტურა. გუნდში ბევრი ინდივიდუალისტი გყავთ. შეხვედრის წინ ბიჭებს ვუთხარით, რომ პერსონალურად ეთამაშათ თქვენების წინააღმდეგ, რადგან ჩემთვის ცნობილია თითოეული მათგანის ნიჭი და უნარი ფანტაზიისა, რომელსაც ადრე განცვიფრებაში მოჰყავდა მსოფლიო. იმედი გვაქვს, მსგავსი შეხვედრების შემდეგ ბევრ კარგს შევიძენთ თქვენგან, რაც სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ფეხბურთს“.

მოკლედ — პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები იზოლაციის გასარღვევად, პირველი გასვლითი მატჩი, პირველი წარმატება.

გვიმრავლოს!

ინგა ჩახვაშვილი,
ზაზა კახაძე,
„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები.

(ტელეფონით)

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

ფრიც ვალტერი

ბრაზილიელებისა არ იყოს, გერმანელებსაც სჩვევიათ ფეხბურთელებისთვის მეტსახელების შერქმევა. ხომ ეძახიან ბეკენბაუერს „კაიზერს“, ფრიც ვალტერის მეტსახელი კი წლების განმავლობაში „ფრიდრიხ დიდი“ იყო, ახლა მოფერებით უბრალოდ „ძველ ფრიცს“ უწოდებენ. არის ერთი განსხვავებაც — დღეისთვის არ არსებობს ბეკენბაუერის სახელობის სტადიონი, აი, „ფრიც ვალტერის სახელობის სტადიონი“ კი არის ქალაქ კაიზერსლაუტერნში. თუ არ ვცდებით, ჯერჯერობით ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა სტადიონს ცოცხალი ფეხბურთელის სახელი ჰქვია!

ფრიც ვალტერი! ეს სახელი გერმანიაში, კარგა ხანია, ლეგენდარული გახდა, ისევე, როგორც მისი მასწავლებლის „ბებერ მელად“ წოდებულ იოზეფ (ზეპ) ჰერბერგერისა.

ვალტერი დაიბადა 1920 წლის 31 ოქტომბერს კაიზერსლაუტერნში. 20 წელს (!) თამაშობდა ამავე სახელწოდების ადგილობრივ საკლუბო გუნდში, თუმცა, ცდუნებები თუ მიწვევები არ აკლდა. „თვეში 320 მარკას ვიღებდი. მსოფლიო ჩემპიონობა რომ მოვიპოვეთ, ორ-ორი ათასი მარკა მოგვცეს (შეადარეთ ეს ფეხბურთელების დღევანდელ გასამრჯელოს).

მეც შემეძლო გამდიდრება — 1951 წელს მადრიდის „ატლეტიკო“ ნახევარ მილიონ დოლარს მთავაზობდა. ეს იმ დროისთვის წარმოუდგენელი თანხა იყო. ვიფიქრე, ვიფიქრე და უარი შევუთვალე“ — ხშირად უთქვამს ფრიც ვალტერს. მეგობრები ამატებენ, რომ ამ გადაწყვეტილებაში მთავარი როლი შეასრულა ფეხბურთელის მეუღლემ იტალია (!) ბერტოლუჩიმ, რომელმაც ურჩია მას არასგზით არ დაეტოვებინა კაიზერსლაუტერნი — „რას უპირებ ამხანაგებს?!“ იტალიას ამ გამონათქვამს დღემდე იგონებენ გერმანელი გულშემატკივრები. ეს ის იტალიაა, რომელიც დღემდე სამაგალითოდ უმასპინძლდება ყველას, ვინც „ძველ ფრიცს“ ესტუმრება. მას სუფრაზე მოაქვს ოთხი სხვადასხვანაირი ღვინო, „ფრიც ვალტერის მარკით“ რომ იყიდება.

რა თქმა უნდა, ფრიც ვალტერს ეროვნულ ნაკრებში თამაშმა შესძინა დიდება (61 მატჩი, 33 გოლი). აქ მას დებიუტი 1940 წლის 14 ივლისს ჰქონდა, მაინის ფრანკფურტში რუმინელების წინააღმდეგ (9:3). ზუსტად 10 წლის შემდეგ, ნაკრებში პირველად ითამაშა მისმა 4 წლით უმცროსმა ძმამ და თითქმის უცვლელმა პარტნიორმა ოტმარ ვალტერმა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ფრიც ვალტერმა ნაკრებში 18 წელი გაატარა, 30 მატჩში კაპიტანიც იყო (მათ შორის, მსოფლიოს 1954 და 1958 წლების ჩემპიონატებში).

— ძალიან მინდოდა, ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ ომი დაიწყო და, რა თქმა უნდა, ეს შეჯიბრებაც აღარ გამართულა. ამის ნაცვლად, ჯარში, სასაკლაოზე მიკრეს თავი. ფეხბურთს კარგა ხნით მოვწყდი, სანამ „შეფმა“ (ასე ეძახის ფრიც ვალტერი ნაკრების მწვრთნელს ჰერბერგერს) ბოლოს და ბოლოს, ფრონტიდან არ დამაბრუნა.

ყველა სპორტსმენს აქვს რაღაც საამაყო. ეს ვალტერისთვის, რა თქმა უნდა, მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატია. ცხადია, არც ერთ გერმანელ ფეხბურთელს არ ავიწყდება ბერნი, 4 ივლისი. ამ დღეს ხომ მათ უძლეველად მიჩნეული უნგრელთა „დიდი გუნდი“ დაამარცხეს და მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. თუმცა, ჯობს, ამ მატჩის პატარა წინაისტორიაც გავიხსენოთ.

უნგრეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებები ერთ შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ. ცხადი იყო, სწორედ მათ უნდა ებრძოლათ მეოთხედფინალში თამაშის უფლებისათვის. ამასთან, დებულების თანახმად, თუკი მათ კიდევ მოუწევდათ ერთმანეთთან შეხვედრა, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ფინალურ მატჩში. იმ დროს მეტოქეთა წინასწარი დაზვერვა და მათზე სათანადო „დოსიეს“ შედგენა არ იყო მაინცდამაინც მიღებული, არც ვინმე იწერდა ფირზე მეტოქის მატჩებს. ყოველივე ეს გერმანელთა მწვრთნელმა ჰერბერგერმა დიდებულად გამოიყენა. იმ ხანებში უნგრეთის „დიდ გუნდს“ ვერავინ უმკლავდებოდა. ამიტომ, მათ შეიძლება არც კი მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება იმას, რომ გერმანელები, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით ეთამაშნენ ფავორიტებს (ყველა საუკეთესო ოსტატმა დაისვენა) და ამიტომაც დამარცხდნენ ესოდენ დიდი ანგარიშით 3:8. ვითომც აქ არაფერიაო, გერმანელებმა მშვიდად განაგრძეს ბრძოლა — ისევე, როგორც უნგრელებმა, ყველა დანარჩენი მატჩი მოიგეს და აი, რამდენიმე დღის შემდეგ, 4 ივლისს, მეტოქეებს უკვე მეორედ მოუხდათ ერთმანეთთან შეხვედრა. სწორედ აქ უნდა გარკვეულიყო, რა ფასი ჰქონდა ჰერბერგერის ეშმაკობას, ძალების გადამალვას.

1954 წლის მსოფლიო ჩემპიონის გფრ-ის ნაკრების კაპიტანი ფრიც ვალტერი (სურათზე მარცხნიდან პირველი).

ბერნის მატჩი თავისი დრამატიზმით ფეხბურთის ისტორიაში შევიდა, ამიტომ, ღირს მისი ზოგიერთი მომენტის გახსენება. ინგლისელმა მსაჯმა ლინგმა 64 ათასი მაყურებლის თვალწინ გუნდები მინდორზე იხმო: უნგრეთი — გროშიჩი, ბუზანსკი, ლორანტი, ლანტოში, ბოჟიკი, ზაქარიაში, ციბორი, კოჩიში, ჰიდეგკუტი, პუშკაში, ტოტი. გფრ — ტურეკი, პოსიპალი, კოლმაიერი, ეკელი, ლიბრიხი, მაი, რანი, მორლოკი, ო. ვალტერი, ფ. ვალტერი, შეფერი. ეს მატჩი არაფრით ჰგავდა ამავე გუნდების წინა შეხვედრას. გერმანელებს დიდებულად დირიჟორობდა ფრიც ვალტერი, უნგრელებს კი ეტყობოდათ, რომ პუშკაშმა ვერ მოიშუშა ადრე მიღებული ტრავმა. წინასწარ მატჩში იგი დააშავა... ლიბრიხმა!

ეს დრამატული შეხვედრა, სადაც აშკარა ფავორიტებად უნგრელები ითვლებოდნენ, თავიდანვე მათი იერიშებით დაიწყო. უკვე მეცხრე წუთისთვის ანგარიში იყო 2:0 (გოლები გაიტანეს პუშკაშმა და ციბორმა). შესაძლოა, ამ მომენტისთვის არავის, უნგრელთა მწვრთნელ გუსტავ შებეშსაც, აღარაფერი აეჭვებდა — „დიდ გუნდს“ უნდა გაემარჯვა. მაგრამ წინ ხომ კიდევ 80 წუთი იყო. უკვე მეთორმეტე წუთზე მორლოკმა ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა, მეთვრამეტეზე კი მეკარე გროშიჩი შეცდა — ბურთი უყურადღებოდ გადააწოდა თავის მცველს, რომლის მაგივრად იგი სწრაფად იგდო ხელთ რანმა და ანგარიში გახადა 2:2. უნგრელების თამაში აირია, მათ დათმეს ინიციატივა და 84-ე წუთზე რანმა კიდევ ერთი, ამჯერად უკვე გადამწყვეტი გოლი გაიტანა — 3:2. „ჟიულ რიმეს“ თასი გერმანელთა კაპიტან ფრიც ვალტერს გადაეცა. ასეთი ტრიუმფი გერმანულ ფეხბურთს არ ახსოვდა.

ოთხი წლის შემდეგ, მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონატზე, შვეციაში, გერმანელთა საგრძნობლად გადახალისებული გუნდი გამოვიდა. „ბერნის გმირებიდან“ მინდორზე ცოტა ვინმეღა დარჩა და ისინიც, ფაქტობრივად, ამთავრებდნენ თავიანთ კარიერას. ეს, პირველ ყოვლისა, თვით ფრიც ვალტერს ეხებოდა, რომელიც უკვე 38 წლისა იყო. იგი უკანასკნელად გამოვიდა ნაკრების შემადგენლობაში 1958 წლის 24 ივნისს გეტებორგში ვერცხლის მედლების მომავალი მფლობელების, შვედების წინააღმდეგ (1:3) და სამუდამოდ გამოეთხოვა კიდეც მას. თუმცა, ამის შემდეგ, მას „ნაკრების საპატიო კაპიტნის“ წოდება მიენიჭა. 1959 წელს ვეტერანი „კაიზერსლაუტერნსაც“ გამოეთხოვა, გუნდს, რომელიც ერთი წლით ადრე მისმა უმცროსმა ძმამ ოტმარ ვალტერმაც დატოვა.

მას შემდეგ, რაც ფეხბურთს თავი დაანება, ფრიც ვალტერი გახდა სპორტული საქონლის მაღაზიის მფლობელი, რადიოკომენტატორიც, „ზეპ ჰერბერგერის ფონდის“ ერთ-ერთი გამგებელიც, რომელიც ვეტერან და ინვალიდ ფეხბურთელებს ეხმარება. ერთი სიტყვით, მას ბევრი საქმე აქვს. „რა ხელობის კაცია ბოლოს და ბოლოს ეს ფრიც ვალტერი“ — ხუმრობენ ხოლმე გერმანელები. „რა ხელობის კაცია და მსოფლიო ჩემპიონია“ — თვითონვე პასუხობენ.

1985 წელს, როცა სახელოვან ფეხბურთელს 65 წელი შეუსრულდა, კაიზერსლაუტერნის „ბეცენბერგის“ სტადიონს სახელი გადაარქვეს. ახლა მას „ფრიც-ვალტერ-შტადიონი“ ჰქვია.

ზიზი გამრეკელი

აჯობებს კასპაროვს მანქანა?

დაამარცხო ადამიანი ჭადრაკის პარტიაში — ასეთი გამოწვევის შესაძლებლობა ბოლო დრომდე მხოლოდ მილიონობით დოლარის ღირებულების დიდ კომპიუტერებს ჰქონდათ. 1977 წელს გამოჩნდნენ პირველი საჭადრაკო მიკროკომპიუტერები. ისინი შეუდარებელი პარტნიორები და კარგი მოთამაშეები არიან, ყოველთვის ხელმისაწვდომნი, თანაც არცთუ ძვირად ფასობენ.

ჭადრაკის პარტიაში მოწინააღმდეგედ მანქანის შექმნის იდეა ახალი არ გახლავთ. 1769 წელს მარია ტერეზია ავსტრიელის კარის მრჩეველმა ბარონმა ვოლფგანგ ფონ კემპელენმა დედოფალს „ჭადრაკის მოთამაშე ავტომატი" მიართვა. ავტომატმა ევროპის მეფეთა სამფლობელოები მოიარა (მას ნაპოლეონი ეთამაშა და წააგო). სინამდვილეში, მასში მოხერხებულად იყო ჩამალული ადამიანი. მთელი მოგზაურობის დროს ერთმანეთს ცვლიდნენ მაშინდელი გამოჩენილი მოჭადრაკეები. ოინბაზობა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში გამჟღავნდა.

დღეს მსგავსი არაფერი ხდება. საჭადრაკო კომპიუტერები საგანგებო პიროვნებების მიერ იქმნებიან. ერთ-ერთი მათგანია პროფესორი ფენ სიუნსუ. მისი ფუნდამენტური გამოკვლევები და შედეგები ხელს უწყობენ ტექნიკური თვისებების გაუმჯობესებას და საჭადრაკო კომპიუტერების კომერციულ წარმატებას.

პროფესორი ფენ სიუნსუ ოცდათორმეტი წლისაა და ფირმა „აი-ბი-ემ"-ის მიერ გამოშვებული აპარატურის ერთ-ერთ საუკეთესო ავტორად არის მიჩნეული. წარმოშობით ტაივანელი, უკვე ათი წელიწადია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. იგი ძალზე დიდხანს ფიქრობს პასუხის გაცემამდე. ყოველგვარი მორიდების გარეშე სამჯერაც კი გაამეორებინებს შეკითხვას არსის უკეთ გასაგებად. ფენი პიტსბურგის კარნეგი-მელონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. იქ იგი მსოფლიოში ცნობილი ორი უდიდესი მანქანიდან ერთზე — „დიპ სოთ"-ზე მუშაობდა. მისი მეტოქე „ჰაიტექი" იმ უნივერსიტეტში იყო, მაგრამ სულ სხვა მიზნებისათვის იყენებდნენ.

1989 წლის ოქტომბერში ფენმა ფირმა „აი-ბი-ემ"-ში დაიწყო მუშაობა, სადაც ამოცანად მანქანა „დიპ სოთ"-ით გარი კასპაროვის დამარცხება დაუსახეს. სამი-ხუთი წელიწადი მისცეს საიმისოდ, რომ მანქანა 1993 წლისათვის მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეებს შორის დამკვიდრდეს.

ფენ სიუნსუ მშვიდია და თვითდაჯერებული. მისი დავალება მასშტაბურია და რთული — მანქანას მოჭადრაკეთათვის დამახასიათებელი სამი თვისება უნდა მიანიჭოს. ფსიქოლოგ კლოდ შენონის თანახმად, ესენია: სვლების გათვლა, პოზიციის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება. მოცემული ტრიადა სამოცდაოთხი უჯრის ზღვარს სცილდება. ამ დროს აუცილებლად წარმოიქმნება ფილოსოფიასთან, ბიოლოგიასთან, ფსიქოლოგიასთან, მათემატიკასთან დაკავშირებული ფუნდამენტური შეკითხვა: როგორია ადამიანის აზროვნების პროცესის მექანიზმები?

მართალია, ამ დარგში ბევრი თეორია არსებობს და ბევრი გამოკვლევებიც ტარდებოდა, ყველაფერი მაინც შედეგების ინტერპრეტაციის ერთსა და იმავე პრობლემამდე მიდის. ინტერპრეტაცია ჭადრაკში მარტივია — გამარჯვება, ყაიმი, ანდა დამარცხება. მანქანის სწავლების მეთოდი იმის კოპირება გახლავთ, რაც ადამიანის მსჯელობის დროს არის ცნობილი. უპირატესობა რაშია? —მანქანა ყველანაირი ჩარევის გარეშე მუშაობს, იგი წარმოუდგენელი სიჩქარით მოქმედებს (წამში რვაას ათას სვლას ანგარიშობს) და მისი „სულის" მდგომარეობის ერთადერთ გამჟღავნებას პროგრამისტების ჟარგონზე „დაბრკოლება" ეწოდება.

ხარვეზები? — სამოცდაოთხუჯრიანი დაფის მცირე პერიმეტრის მიუხედავად, ჭადრაკის თამაში სულ ცოტა ათი ორმოცდამესამე ხარისხის შესაძლებელ პოზიციებს ვარაუდობს. ადამიანის შესაძლებლობათა ეს უსასრულო რიცხვი არა მარტო აფრთხობს მკვლევართა ერთ ნაწილს, არამედ გამუდმებით ამუხრუჭებს კომპიუტერებთან მუშაობის პროცესს.

1957 წელს ამერიკელმა ჰერბერტ სიმონმა იწინასწარმეტყველა, რომ ათი წლის შემდეგ შეიქმნებოდა პროგრამა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის დამარცხებას შეძლებდა. ერთი წლის შემდეგ მან ნეველთან და შოუსთან ერთად ამ დროისათვის ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამა შეადგინა. ორი წლის მერე კი ამ პროგრამაზე მომუშავე მანქანას ათი წლის დებიუტანტმა მოუგო! იმისათვის, რომ მანქანამ ადამიანივით ითამაშოს ჭადრაკი, მას ისევე უნდა შეეძლოს პოზიციების სქემების განხილვა, როგორც მოჭადრაკეს; მრავალსვლიან გაანგარიშებაში უნდა აღმოაჩინოს და კორექტირება გაუკეთოს სუსტ ადგილებს. სწორედ ეს არის ჩემპიონის მოყვარული მოთამაშისაგან განმასხვავებელი მთავარი კრიტერიუმი.

ფენი და მისი სამი თანამშრომელი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობენ. თვითონ წყვეტენ, თუ რომელ მომენტში მოუწყონ ტესტი მანქანას, მასთან რომელიმე ამერიკელი ოსტატის თამაშის გამართვის წინ. ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ექსჩემპიონ რობერტ ბირნსა და „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნის" საჭადრაკო მიმომხილველს შორის ჩატარდა მატჩი. დიდოსტატს მიაჩნია, რომ „დიპ სოთი" ისე თამაშობს, როგორც „დიდოსტატი": „მე მიჭირს მანქანასთან თამაშისათვის მომზადება, რადგან იგი ძალზე ხშირად ცვლის დებიუტებს. მისი სტილი მუდმივი არ არის ადამიანსავით, იგი ჩადებული პროგრამის მიხედვით იცვლება".

ფენის მხარდასაჭერად ფირმა „აი-ბი-ემ"-მა განსაზღვრული სტილის ექსპერტი, დიდოსტატი მაქსიმ დლუგი მიიწვია. საბჭოთა კავშირის ყოფილი მოქალაქე, ამჟამად კი ნიუ-იორკის მკვიდრი დლუგი მთლიანად „იხარჯება" სამუშაოზე, რომელსაც ხელს მოჰკიდებს. ჭადრაკის მიმართ პირდაპირ „არწივისებური თვალი" აქვს. მას ხუთწუთიანი პარტიების ერთ-ერთ საუკეთესო ამერიკელ მოთამაშედ მიიჩნევენ. ჩინებულად იცის კასპაროვ-კარპოვის ყველა ნათამაშევი პარტია იმ სინქრონული ანალიზის საშუალებით, რომელსაც იგი ატარებდა 1986 წელს ლონდონში და 1990 წელს ნიუ-იორკში. კვირაში ორჯერ დლუგი ფენის ჯგუფს კონსულტაციას უტარებს და ცდილობს საჭადრაკო მეცნიერება იმ ენაზე „თარგმნოს", რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პროგრამების შემდგენლებისათვის.

„საინტერესოა ამ მანქანებით იმის გაგება, თუ როგორ ღებულობს ადამიანი გადაწყვეტილებებს", — შენიშნავს საჭადრაკო ამერიკული კომპიუტერების „პაპა", მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ჭადრაკის მიმოწერით თამაშში ჰანს ბერლინერი. სამოცდაერთი წლისას, ჯერაც არ განელებია ჭაბუკური მონდომება. ფენის ჯგუფის თითქმის ყველა წევრი მასთან ერთად გატაცებით მუშაობდა მოჭადრაკის მიერ შექმნილ მანქანაზე „ჰაითექი".

დიდ მანქანებზე მუშაობის დროს, ფენის ჯგუფი და ბერლინერი სხვადასხვა მეთოდებით სარგებლობენ. მათ შორის ისეთივე შეპირისპირებაა, როგორც ფორმულებისა და იდეების მომხრე მათემატიკოსსა და ამ იდეების ნამდვილ შედეგებამდე განმახორციელებელ ინჟინერს შორის.

ფენი ფილოსოფიას არ მიმართავს, მისი მეთოდია „ემპირიული მიდგომა". თავისი შესაძლებლობის წყალობით მანქანა მილიონობით ვარიანტს სამ წუთში უკეთებს ანალიზს. უკვე შეხვედრილი პოზიციებისა და სხვა რთული პარამეტრების პოზიციების შეფასებითი ფუნქციების დახმარებით სწორი არჩევანი კეთდება უკიდურესად განშტოებული სისტემის ვარიანტებს შორის.

„ჩვენი მომდევნო კომპიუტერი, რომელმაც 1992 წელს უნდა იმუშაოს, ათასჯერ გაზრდილი სწრაფმოქმედი უნდა იყოს და წამში მილიარდი პოზიციის ანალიზის უნარი გააჩნდეს", — განუცხადა დაჯერებულმა ფენმა ჟურნალ „პურ ლა სიანსის" კორესპონდენტს.

ინფორმაციის გადამუშავების დროის შემცირებისაკენ სწრაფვა ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს პროგრამისტებს. „ყველაფერი მალე დასრულდება", — აცხადებს ბერლინერი, რომელიც ოც წელზე მეტია თავგამოდებით იღვწის პიგმალიონის მსგავსი ამ მითის გამართლებაზე. დიდოსტატებს ვერ დაუჯერებიათ, რომ მანქანა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისათვის შეძლებს მათ დამარცხებას. ფენ სიუნსუმ ცოტა რამ იცის თამაშის წესებზე, ცოტა რამ — ისტორიაზე; ძალიან კარგად ესმის ინფორმატიკა. დიდი ხნის დუმილის შემდეგ იგი ხმამაღლა ამბობს: „ამ დროიდან მოყოლებული, ჩემი მანქანა ყოველთვის დაამარცხებს კასპაროვს".

მოამზადა ბელა ჯილაურმა.



ნუ დავაბრალებთ ერთმანეთს!..

სამი თაობა — ფრე

ინტერესი ამ თამაშისადმი, რომელიც ვანის ცენტრალურ სტადიონზე ადგილობრივ და ქუთაისელ ვეტერანთა შორის გაიმართა, იმანაც განაპირობა, რომ მასში სამი თაობის ფეხბურთელები მონაწილეობდნენ.

მართალია, გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, რადგან მატჩი ფრედ — 2:2 დამთავრდა, მაგრამ შეხვედრა აღსავსე იყო საინტერესო და დაძაბული მომენტებით.

გოლები გაიტანეს: მასპინძელთა მხრიდან — გია მეფარიშვილმა და ბადრი ხარაბაძემ, ქუთაისელთაგან — რევაზ ბურკაძემ და ალეკო კვერნაძემ.

მურთაზ პირველაშვილი

მხოლოდ შედეგები

1 ივლისს გაიმართა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-17 ტურის 5 მატჩი: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 0:2, „შახტიორი" (დონეცკი) — „სპარტაკი" (ვლადიკავკაზი) 2:0, „დინამო" (მინსკი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — ცსკა 2:2, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 0:1.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

რბენის მოყვარულთა საყურადღებოდ!

სპორტსაზოგადოება „შევარდენი" სისტემატიურად აფართოებს უშუალო კონტაქტებს საზღვარგარეთელ პარტნიორებთან.

ამჟამად, მიღებულია მოწვევები საერთაშორისო მარათონებში მონაწილეობისათვის გერმანიის ქალაქებიდან დუისბურგიდან, ბერლინიდან და ფრანკფურტიდან, აგრეთვე პარიზიდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის საქართველოს მარათონელებს შეუძლიათ მიმართონ სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკურ საბჭოს (ა. წერეთლის პროსპექტი, 95-ა, ტელ. 34-74-19, 35-10-88).

„შევარდენის" რესპუბლიკური საბჭო.

ამირან ერაძის ნახატი.

რა მართება „სუპერ-ვარსკვლავს"?

როგორც იქნა აღსრულდა! მსოფლიოს უძლიერესი სპრინტერები კარლ ლუისი და ბენ ჯონსონი ერთმანეთს შეხვდნენ დასწრებულ ბრძოლაში. ჩრდილოეთ საფრანგეთის პატარა პროვინციული ქალაქი ვილნევ დ' ასკი აქამდე არაფრით იყო ცნობილი და, ბუნებრივია, ყურადღებასაც არ იქცევდა. სიტუაციას მაინც და მაინც არც „გრან პრის" ერთ-ერთი ეტაპის ჩატარება შეცვლიდა, მასში რომ არ დაეგეგმათ შეხვედრა ლუისსა და ჯონსონს. სხვათა შორის, ამ ისტორიულ დავაში მონაწილეობა უნდა მიეღო კიდევ ერთ ფავორიტს, უფრო სწორად, მსოფლიოში დღეისთვის უძლიერეს სპრინტერს ლეროი ბარელს, მაგრამ მან, დიპლომატიური უკანდახევა არჩია და ასპარეზი ძველ მეტოქეებს დაუთმო. თვითონ კი 200-მეტრიან დისტანციაზე გავიდა საასპარეზოდ.

სანახაობამ, სამწუხაროდ, ვერ ივარგა, ბოლო ერთი წლის მანძილზე ფართოდ რეკლამირებული შეხვედრა ერთობ უინტერესოდ ჩატარდა. რბენა 100 მეტრზე მოიგო „მესამე ძალამ" — ამერიკელმა ჯ. მიჩელმა. ლუისი ამჯერად მხოლოდ მეორე იყო, ჯონსონი კი, უხერხულიც კია ამის აღნიშვნა, მეშვიდე ადგილზე გავიდა, თანაც კატასტროფულად სუსტი შედეგით — 10,46. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ნელ-ნელა მტკიცდება აზრი იმის შესახებ, რომ ბენ ჯონსონი ანაბოლიური საშუალებებით გაჭყეპილი „სუპერ-ვარსკვლავი" იყო და მეტი არაფერი.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები: მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 99-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო" სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას, 29.

1 2 ~~3~~ 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.